შპს

„სტუგრუპი“

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N 12-ში მდებარე

შენობების 03; 04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

თბილისი 2022 წელი

შპს

„სტუგრუპი“

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N 12-ში მდებარე შენობების 03; 04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

დირექტორი ტ. სტურუა

ორგანიზების პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2022 წელი

შემადგენლობა

ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო შენობების მომიჯნავედ განლაგებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ღონისძიებები

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

V.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

VI.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VII.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VIII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

IX. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების

დასაწყობება და გატანა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „დო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „დო-2“ - „სადემონტაჟო სქემა“

ნახაზი „დო-3“ – „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების

კალენდარული გეგმა“

გ) შესანარჩუნებელი გარე კონტურის კედლებისა და

საძირკვლების გეგმა 3

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N 12-ში მდებარე შენობების 03; 04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის “ სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)” დამუშავებულია შპს „ სტუგრუპი“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

4. სნდაწ 3.02.01-87- „ მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები“

5. ტექნიკური რეგლამენტი „ მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“

6. ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“

7. ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“

8. საქართველოს კანონი „ ნარჩენების მართვის კოდექსი“

9. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილება

10. ტექნიკური რეგლამენტი „ ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად შენობების დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება.

აკრძალულია შენობების დემონტაჟის სამუშაოების დაწყება დამტკიცებული „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

აუცილებელია განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N 12-ში (ს/კ 01.15.05.046.001) მდებარე სადემონტაჟო შენობებს მიეკუთვნება:

1. შენობა მიშენებით(სამსართულიანი) (საკადასტრო გეგმაზე -03).
2. 03 შენობაზე მცირე ზომის მიშენება (საკადასტრო გეგმაზე -04).

დემონტაჟს ექვემდებარება ასევე ტერიტორიაზე არსებული საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბი და მცირე ზომის სატრანსფორმატორო ქვესადგურები(მობილური-2 ცალი).

დამკვეთის დავალების თანახმად,სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტით გათვალისწინებულია სადემონტაჟო შენობების სრული დემონტაჟი, ასევე გვირაბის და ქვესადგურების სრული დემონტაჟი.

სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

-მიწის ნაკვეთის ფართობი-3493,00 მ2

- საერთო ფართობი -1842,03 მ2

- სამშენებლო მოცულობა- 7471,49 მ3

0,00 ნიშნულის ზევით -6631,49 მ3

0,00 ნიშნულის ქვევით -840,0 მ3

- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე-23,7 მ

0,00 ნიშნულის ზევით- 20,7 მ

0,00 ნიშნულის ქვევით - 3,0 მ

1. შენობა მიშენებით (03)

ხორციელდება შენობის სრული დემონტაჟი.

შენობა მიშენებით წარმოადგენს სამსართულიან

ნაგებობას ნახევარსარდაფით და სარდაფით, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, რომლებიც გაყოფილია სეისმური ნაკერით:

ა) ძველი შენობა

შენობა არის მართკუთხედის ფორმის, სამსართულიანი, გაბარიტული ზომებით 28x14,5 მ, გააჩნია ნახევარსარდაფის და სარდაფის სართულები. შენობა კონსტრუქციული სქემის მიხედვით წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას.

საძირკვლები-მონოლითური რკ/ბეტონის.

სვეტები-მონოლითური რკ/ბეტონის.

რიგელები-მონოლითური რკ/ბეტონის.

სართულშუა გადახურვები-მონოლითური რკ/ბეტონის(კესონური ტიპის).

კედლები-შერეული: ტუფის ქვის და მცირეგაბარიტული წვრილი ბლოკის.

კიბე-ანაკრები, ლითონის ჩანებზე.

სახურავი-ქანობიანი,თუნუქის, ხის კონსტრუქციებზე.

ბ) მიშენება (შედარებით ახალი)

მიშენება კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს

კარკასული ტიპის ნაგებობას. შენობა მართკუთხედის ფორმისაა , სამსართულიანი, ღია ნახევარსარდაფის სართულით. გაბარიტული ზომებით 16x5,7 მ. პირველი სართულის საორიენტაციო სიმაღლე 6 მ-ია, დანარჩენი სართულების სიმაღლე-3,2 მ.

საძირკვლები-მონოლითური რკ/ბეტონის.

სვეტები-მონოლითური რკ/ბეტონის.

რიგელები-მონოლითური რკ/ბეტონის.

სართულშუა გადახურვები- ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

კარკასი შევსებულია მცირეგაბარიტული წვრილი ბლოკებით.

სახურავი- ქანობიანი, თუნუქის, ხის კონსტრუქციებზე.

2. მცირე ზომის მიშენება (04)

მიშენება წარმოადგენს დამოუკიდებლად მდგომ ერთსართულიან მცირე ნაგებობას, სარდაფის გარეშე. კედლები- ტუფის ქვის. გადახურვა-მონოლითური რკ/ბეტონის. ხდება მისი სრული დემონტაჟი.

3. საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბი

საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბის კარკასი არის მონოლითური რკ/ბეტონის, ძირი და გადახურვა-ანაკრები რკ/ბეტონის ფილების. კედლების შევსება-ბეტონის ბლოკებით, საძირკველი-წერტილოვანი, ბეტონის. ხდება მისი სრული დემონტაჟი.

III. სადემონტაჟო შენობების მომიჯნავედ განლაგებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ღონისძიებები

სადემონტაჟო სამსართულიანი შენობის (03) ძველი ნაწილის გარე კონტურის კედლის ნაწილი „ე“ ღერძზე, ღერძებში „1-4“ უშუალოდ ემიჯნება მეზობელი 8 სართულიანი სახლის ზედა შიდა ეზოს გრუნტს.

ამავე შენობის სამსართულიანი მიშენების (დამოუკიდებელი შენობა) პირველი სართულის სვეტები(2 ცალი) უშუალოდ შეხებაშია 8 სართულიანი სახლის ზედა შიდა ეზოს საყრდენ კედელთან.

სადემონტაჟო შენობების მომიჯნავედ განლაგებული შენობების კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტში მიღებულია შემდეგი აუცილებელი სადემონტაჟო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები:

სამსართულიანი შენობის ძველი ნაწილის მომიჯნავედ განლაგებული 8 სართულიანი სახლის ზედა შიდა ეზოს გრუნტისა და საყრდენი კედლების კონსტრუქციული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით:

1) შენარჩუნებულ იქნება და საერთოდ არ დემონტირდება შენობის შედარებით ახალი მიშენებული ნაწილის პირველი სართულის 2 ცალი სვეტი, რომლებიც უშუალოდ ებჯინება ზედა შიდა ეზოს საყრდენ კედელს.

2) შენარჩუნებულ იქნება 8 სართულიანი სახლის ზედა შიდა ეზოს ნიშნულის დონემდე და საერთოდ არ დემონტირდება შენობის ძველი ნაწილის გარე კონტურის „გ“ ღერძზე მდებარე კედლის ნაწილი „1“-„4“ ღერძებში.

ახალი შენობის მშენებლობის დროს მისი ახალი გარე კონტურის კედელი უშუალოდ მიებჯინება შენარჩუნებული კედლის ნაწილს, რაც ხელს შეუწყობს 8 სართულიანი სახლის ზედა შიდა ეზოს გრუნტისა და საყრდენი კედლის მდგრადობისა და სიმტკიცის შენარჩუნებას.

3) მომიჯნავე შენობების საზღვარზე ყველა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით. აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი განხორციელდეს საავტომობილო ამწით.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N 12-ში მდებარე შენობების 03; 04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 5 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-1 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში (იხილეთ ნახაზი“ დო-3“).

V. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი- ძირითადი სამუშაოები.

ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში, ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპებად (ცალკეულ სადემონტაჟო სართულებზე). იხილეთ „ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა“. (ნახაზი „დო-3“)

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი საჩეხიანი ღობით.

2) სადემონტაჟო შენობების შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.

3) სახიფათო ზონების აღნიშვნა ნიშნებით და სიგნალებით და მათი შემოღობვა.

4) დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.

5) დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა.

6) შესასვლელის და პანდუსის მოწყობა.

შენობების: 03-ის (სამსართულიანი შენობა მიშენებით) და 04-ის მცირე მიშენება) სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში, შემდეგ ცალკეულ სადემონტაჟო ეტაპებად:

I ეტაპი-პარაპეტის და სახურავის ელემენტების დემონტაჟი.

II ეტაპი-მე-3 სართულის ელემენტების დემონტაჟი.

III ეტაპი- მე-2 სართულის ელემენტების დემონტაჟი.

IV ეტაპი- პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.

V ეტაპი- ნახევარსარდაფის სართულის ელემენტების დემონტაჟი, გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლისა.

VI ეტაპი- სარდაფის სართულის ელემენტების დემონტაჟი, გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლისა.

VII ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი, გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლის საძირკვლისა.

შენობების (03 და 04) სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად ხორციელდება საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბისა და მობილური ელექტრო ქვესადგურების დემონტაჟი.

ასევე შენობების სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად ხორციელდება მეორადი მასალებისა და სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან.

შენობების საძირკვლების დემონტაჟის დამთავრების შემდეგ ხორციელდება წარმოშობილი ქვაბულის შევსება გრუნტით.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , სადემონტაჟო სართულების მიხედვით, ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლისა და ადგილზე დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

თითოეულ სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების,კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) გადახურვის ელემენტების დემონტაჟი. სარტყელის დემონტაჟი. კიბის ელემენტების დემონტაჟი.

ბ) რიგელების დემონტაჟი.

გ) კედლების დემონტაჟი. სვეტების დემონტაჟი.

მზიდი ელემენტების დემონტაჟის ბოლო ეტაპი არის საძირკვლების დემონტაჟი.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რიგობრიობა და ეტაპები.

VI. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობების სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო შენობების ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა.მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“, შენობების სართულების მიხედვით. ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს. „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კონსტრუქციები და დეტალები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

კარებების,ფანჯრების,სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით,ელემენტური დაშლით.

ტუფის ქვის და წვრილი ბეტონის ბლოკის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება სველი მეთოდით, ორი გზით:

1)ელემენტური დაშლისგზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი ელემენტების დემონტაჟი.

2)გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი ელემენტების დემონტაჟი.

კედლების და ტიხრების დაშლისას გამოყენებულ იქნას დროებითი ინვენტარული ხარაჩოები.

შენობების სართულებზე აკრძალულია გადახურვის ელემენტების და ასევე კედლების და ტიხრების დანგრევა პირდაპირი მონგრევის გზით (ქვედა გადახურვის კონსტრუქციების დაზიანების თავიდან ასაცილებლად).

მონოლითური რკ/ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი ხორციელდება დაშლა-მონგრევის მეთოდით, ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით . აკრძალულია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება.

კედლების გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება სპეციალურძარიანი ამწის დახმარებით.

გადახურვის ანაკრები ფილების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით, შემდეგნაირად:

1)ხდება გადახურვის ფილის პირაპირებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით,სანგრევი ჩაქუჩით.

2)ხდება გადახურვის ფილის დაჭერა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით და სარტყელის არმატურისა და ფილის ლითონის ჩასამაგრებელი დეტალების ჩაჭრა.

3) ამის შემდეგ განთავისუფლებული ფილა ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება მიწაზე ან ავტომანქანაზე (გასატანად).

სადემონტაჟო შენობა 03-ის გარე ფასადებზე, მთელ კონტურზე, ყოველ სადემონტაჟო სართულზე ეწყობა დროებითი დამცავი ფენილი (მავთულბადის). ფენილი ეწყობა ლითონკონსტრუქციაზე . იხილეთ სადემონტაჟო სქემა (ნახაზი „დო-2“).

გრუნტის დამუშავება საძირკვლებში და სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხორციელდება

ექსკავატორით „უკუ ჩამჩა“, ჩამჩის ტევადობით 1,0მ^3.
სამშენებლო ნაგვის გატანა სადემონტაჟო მოედნიდან ხორციელდება ნაგავსაყრელზე ავტოთვითმცლელებით.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი დემონტირებული მასალები,დეტალები და კონსტრუქციები გატანამდე დასაწყობდება ცალკეულ დროებით სასაწყობო მოედნებზე.

შენობების და საკომუნიკაციო გვირაბის სადემონტაჟო სამუშაოები(ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი;კედლების და სხვა ელემენტებისგამსხვილებულ ბლოკებად დემონტაჟი;მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვა) ხორციელდება მოძრავი სპეციალურძარიანი ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 50 ტნ.

შენობების სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შიდა ეზოში, სადემონტაჟო შენობების გარე კონტურის გასწვრივ, გარეთა მხრიდან. ამწის მიბმა შენობის გარე კონტურთან არის 5.0 მ (იხ.სადემონტაჟო გენგეგმა- ნახაზი „დო-1“). გვირაბის დემონტაჟის დროს ამწე მოძრაობს მისი გრძივი ღერძის გასწვრივ, მიბმით 5,0 მ.

სპეციალურძარიანი ამწე მუშაობს როგორც ისრულ,ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში. საჭიროების შემთხვევაში ამწეს შეუძლია მუშაობა კოშკურა-ისრულ შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება შენობის სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

სამუშაოთა წარმოების მეთოდები საბოლოოდ დაზუსტდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“- ში.

VII.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობებისა და საკომუნიკაციო გვირაბის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. სპეციალურძარიანი ამწე, ტვირთამწეობით 50 ტნ -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 1,0 მ^3-1ცალი
3. ბულდოზერი-1 ცალი (მცირეგაბარიტული)
4. მოძრავი კომპრესორი-1 ცალი
5. ავტოთვითმცლელები-2 ცალი
6. ბორტული ავტომანქანა-2 ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი(ფილამზიდი)-1ცალი
8. ავტოდამტვირთავი-1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-2 კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-2 ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-2 ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-2 ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-100 მ^2

VIII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით და ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებულ იქნას ავარიული კონსტრუქციები.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვარი სადემონტაჟო შენობა 03-ის გარე კონტურიდან შეადგენს 5,0 მეტრს, გარდა ამ შენობის სამსართულიანი მიშენების მომიჯნავე 8 სართულიანი საცხ. სახლის მოსაზღვრე კონტურისა, სადაც სახიფათო ზონის საზღვარი შეადგენს 3,0 მეტრს. სახიფათო ზონის რადიუსი საბოლოოდ დაზუსტდეს ადგილზე. წარმოშობილი სახიფათო ზონა მოექცეს დროებითი ღობის კონტურში, გარდა მომიჯნავედ არსებული 8 სართულიანი საცხ. სახლის ეზოს მხარეს წარმოშობილი სახიფათო ზონისა (შენობა 03-ის სამსართულიანი მიშენების მომიჯნავედ). ამ ეზოსთან მომიჯნავე სადემონტაჟო შენობა 03-ის სამსართულიანი მიშენების გარე კონტურზე, მეორე სართულის იატაკის დონეზე ეწყობა დროებითი დამცავი ფენილი

ლითონკონსტრუქციებით და მავთულბადით.

სახიფათო ზონა აღინიშნოს დღე-ღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტშიან უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

სადემონტაჟო მოედანზე მყოფი ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები , რესპირატორები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორების ,დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერის და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

თითოეულ სართულზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სართულის ქვემოთ განლაგებულ სართულებზე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ).

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან. ამ მიზნით სამუშაოთა წარმოებისას შეიფუთოს სადემონტაჟო შენობის ფასადები წვრილი მავთულბადით და ტენტით, სადემონტაჟო მოედანზე მოეწყოს კერხერი და სხვა.

IX. მეორადი სამშენებლო მასალების დაკონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის N 421დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N 211 ბრძანების შესაბამისად.

შენობების დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობებისა და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.
2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.
3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს შემდეგ განცალკევებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობო მოედნებზე დასაწყობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიცარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილიდა მოგროვილი

ამტვერებადი სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასაწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შეღწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა).

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“-ს თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე ხორციელდება ექსკავატორით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვითმცლელებით.

ავტოთვითმცლელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანებით და სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით(ანაკრები ფილების გატანა).

ავტომანქანებზე დატვირთული მეორადი სამშენებლო მასალები და ნაკეთობები ზემოდან დაფარული უნდა იყოს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა ტრანსპორტირებისას გამორიცხულ იქნას გარემოს დაბინძურება.

ანაკრები კონსტრუქციების დატვირთვა ავტომანქანებზე ხდება სპეციალურმარიანი ამწით, ხოლო მცირე მასის და გაბარიტების მქონე ნაკეთობების და დეტალების დატვირთვა ხდება ხელით.

მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“-ს თანახმად.

დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნას ზომები დაბინძურებისგან გარემოს დასაცავად.

სადემონტაჟო მოედანზე გამოსასვლელთან მოეწყოს ავტომანქანების გასარეცხი დროებითი კერხერი.

სადემონტაჟო გენგეგმა მ 1:500



დროებითი შენობა-ნაგებობის ექსპლიკაცია:

I. ადმინისტრაციული ოფისი
II. საქოშაცხოვრებო შენობა
III. სასადილო
IV. დროებითი სასაწყობო მოედანი
V. დროებითი ღობე
VI. დროებითი პანდუსი

შენიშვნები:

1. წინამდებარე ნახაზი „დო-1“ იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზებთან „დო-2“ და „“დო-3“-თან ერთად.
2. სადემონტაჟო გენგეგმა დამუშავებულია სადემონტაჟო შენობების 03 და 04 მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისათვის.
3. სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება სპეციალურძარიანი ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 50 ტნ. ამწე მუშაობს რობორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატმელიან შესრულებაში.
4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს ამწე მოძრაობს შიდა ეზოში, შენობის გარეთა მხრიდან, ბრძივი და განივი კონტურის გასწვრივ, მიბმით შენობასთან 5.0 მ-ზე.
5. ქველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის მოთხოვნების და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.
6. სადემონტაჟო შენობის გარე კონტურის გარშემო წარმოშობილი სახიფათო ზონების რადიუსი დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე
7.საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბის დემონტაჟი ხდება საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 50ტნ. ამწე მოძრაობს გვირაბის ბრძივი ღერძის გასწვრივ, მიბმით 5.0 მეტრზე.

პირობითი აღნიშვნები:

- სადემონტაჟო შენობა (03;04;საკომუნიკაციო გვირაბი)
- არსებული შენობები (არასადემონტაჟო)
- დროებითი შენობა-ნაგებობები
- დროებითი სასაწყობო მოედანი
- საკადასტრო ხაზი
- სპეციალურძარიანი ამწე
- ამწის სვლის ღერძი
- ამწის კიდურა დგომი
- დროებითი ღობე
- შესასვლელი ჭიშკარი
- დროებითი პანდუსი შესასვლელში

შპს "სტუგრუპი"	ქ.თბილისში,რუსთაველის გამზირის №12-ში მდებარე შენობების 03;04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი				
დირექტორი	ტ.სტურუა		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	გ.ცუცქირიძე		სადემონტაჟო გენგეგმა	ფურც	სულ
				დო-1	3
				მ1:500	

სადემონტაჟო სქემა მ 1:500

(შენობა-3 სართულიანი, მიშენებით)
ზომები დაზუსტდეს ადგილზე



შენიშვნები

1. წინამდებარე ნახაზი "დო-2" იხილეთ განმარტებით ბარათთან და ნახაზებთან "დო-1" და "დო-3"-თან ერთად .
2. სადემონტაჟო სქემები დამუშავებულია სადემონტაჟო შენობა 03-ის და 04-ის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისათვის .
3. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და თანმიმდევრობა მოცემულია განმარტებით ბარათში და კალენდარულ გეგმაში .
4. ძველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ-III-4-80*-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების სრული დაცვით და ტექნოლოგიის შესაბამისად.
5.სადემონტაჟო შენობა 03-ის ძველი ნაწილის ბარე კონტურის კედლის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება მომიჯნავე 8 სართულიანი სახლის ეზოს, შენარჩუნებულ იქნას ამ ეზოს ნიშნულამდე (დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე).

შპს "სტუგრუპი"	ქ.თბილისში,რუსთაველის გამზირის №12-ში მდებარე შენობების 03;04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი				
დირექტორი	ტ.სტურუა		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	გ.ცუცქირიძე		სადემონტაჟო სქემა	ფურც	სულ
				დო-2	3
				მ1:500	

ქ.თბილისში,რუსთაველის გამზირის №12-ში მდებარე შენობების 03;04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა-5 თვე

№რიგზე	სადემონტაჟო ობიექტების და სამუშაოების დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი				
			წელი				
			თვეები				
			I	II	III	IV	V
1	2	3	4	5	6	7	8
	ა)მოსამზადებელი სამუშაოები:						
1	სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა.შიდა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.სახიფათო ზონების აღნიშვნა და შემოღობვა.	0.5					
2	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა,დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა.შესასვლელის და პანდუსის მოწყობა.	1.0					
	ბ)ძირითადი სამუშაოები: I.შენობა-03;04						
3	პარაპეტის და სახურავის ელემენტების დემონტაჟი.	0.5					
4	მე-3 სართულის ელემენტების დემონტაჟი.	0.5					
5	მე-2 სართულის ელემენტების დემონტაჟი.	0.5					
6	პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.	0.5					
7	ნახევარსარდაფის სართულის ელემენტების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლის).	0.5					
8	სარდაფის სართულის ელემენტების დემონტაჟი(გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლის).	0.5					
9	საძირკვლების დემონტაჟი (გარდა შესანარჩუნებელი გარე კედლის საძირკვლის).	0.5					
	II.სხვა სამუშაოები						
10	საკომუნიკაციო მიწისზედა გვირაბის და ქვესადგურების დემონტაჟი.	0.5					
11	მეორადი მასალების გატანა მოედნიდან.	3.0					
12	სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან.	3.0					
13	ქვაბულის შევსება გრუნტით.	0.4					

წინამდებარე ნახაზი "დო-3"

იხილეთ განმარტებით ბარათთან და

ნახაზებთან "დო-1" და "დო-2" ერთად

შპს "სტუგრუპი"	ქ.თბილისში,რუსთაველის გამზირის №12-ში მდებარე შენობების 03;04-ის და საკომუნიკაციო გვირაბის დემონტაჟი				
დირექტორი	ტ.სტურუა		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი		
ორგ.პრ.ავტორი	ტ.სტურუა				
დაამუშავა	გ.ცუცქირიძე		სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გეგმა	ფურც	სულ
				დო-3	3

ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონის №12-ში მდებარე ფეხბურთის დეპონატში
მშენებარე მაღალი სიხშირის ველური და მშენებარე სველი წერტილების
შენობა (03)

ველური და სველი წერტილების
შენობის ზედა ფარდული
სახის მიხედვით
ეზოს ინტენსიური.

შენობის სამხრეთ სველი წერტილების ფასადი (2ა).

შენობის სამხრეთ სხვილი
ფასადის ნაწილი

ველის მშენებარე
ნაწილი (შენობის ასევე
მისი სამხრეთით)

ველური წერტილი